ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 1 მარტის N ბ68.682 605 89 ბრძანების შესაბამისად სამუშაო ჯგუფის შეხვედრის

ოქმი № 1

დაბა ხარაგაული

21.05. 2026 წ.

სხდომას ესწრებოდნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 01 მარტის Nბ68.682 605 89 ბრძანებით შექმნილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრები შემდეგი შემადგენლობით:

1. ვარლამ ჭიპაშვილი - მერის პირველი მოადგილე - თანათავმჯდომარე;
2. დავით დევდარიანი - მერის მოადგილე;
3. კახაბერ გოლუბიანი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;
4. ნინო მაღლაკელიძე -საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ;
5. ეკა დვალიშვილი - საფინანსო სახაზინო განყოფილების სპეციალისტი;
6. ვასილ შარიქაძე - საფინანსო სახაზინო განყოფილების სპეციალისტი;
7. პეტრე შარიქაძე - ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი ;
8. ნანა კიკნაძე - ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი;
9. ხათუნა ტაბატაძე -კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდ. სამსახურის მ/შ;
10. ინგა ბერაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი;
11. თეა ბერიძე - მერიის წარმომადგენელი ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოს მდივანი;
12. ღალი სებისკვერაძე - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი;

სხდომის დღის წესრიგი:

1. ხარაგაულის მუწიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტის განსაზღვრა.

2. საპილოტე პროგრამებისა და ქვეპროგრამების შერჩევა, რომელთა შემუშავების და განხორციელების დროს გათვალისწინებული იქნება ბავშვების, შშმ პირების, მოხუცების, ქალებისა და კაცების ინტერესები.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი ვარლამ ჭიპაშვილი;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარმოდგენილი პრიორიტეტები შეესაბამება ქვეყნის მიერ დასახულ ძირითად მიმართულებებს და მუნიციპალიტეტის საქმიანობის ასპექტებს, ასევე შეესაბამება მუნიციპალიტეტში არსებულ რეალობას და მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ პრიორიტეტების რიგითობა დარჩეს უცვლელი.

დაადგინეს:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები დარჩეს უცვლელი და ნუსხა განისაზღვროს წარმოდგნილი სახით:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 01 00;

ინფრასტრუქტურის განვითარება 02 00;

დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00;

განათლება 04 00;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი 05 00;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 06 00;

2. მოისმინეს: საპილოტე პროგრამებისა და ქვეპროგრამების შერჩევა, რომელთა შემუშავების და განხორციელების დროს გათვალისწინებული იქნება ბავშვების, შშმ პირების, მოხუცების, ქალებისა და კაცების ინტერესები.

მომხსენებლები სამსახურის უფროსები, დარგის კურატორები.

სამუშაო ჯგუფის მიერ, ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით და მერიაში აღნიშნულ საკითხზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოს მდივანთან კონსულტაციით, მოხდა საპილოტე პროგრამებისა და ქვეპროგრამების შერჩევა, რომელთა შემუშავების და განხორციელების დროს გათვალისწინებული იქნება ბავშვების, შშმ პირების, მოხუცების, ქალებისა და კაცებისთვის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული, სპორტული, კულტურული, საგანმანათლებლო და სოციალური სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია და წარმატებით იქნას მიღწეული გაეროს მდგრადი განვითარების **მიზანი 5: ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება;**

დაადგინეს:

პროგრამები და ქვეპროგრამები, სადაც გათვალისწინებული იქნება თანასწორობის მიღწევა

02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა მათ შორის: 02 01 01 - გზების კაპიტალური შეკეთება; 02 01 04 - ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია; 02 01 05 - მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა;

02 02 - წყლის სისტემის განვითარება მათ შორის: 02 02 01 - სასმელი წყლით უზრუნველყოფა;

02 03 გარე განათების პროგრამა მათ შორის: 02 03 01 - გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია; 02 03 02 -გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა;

02 04 - მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია;

02 05 03 - კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია;

02 09 - სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები.

04 02 - სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა;

04 04 - სკოლების რეაბილიტაცია

04 05 - ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)

04 06 - სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)

05 01 - სპორტის სფეროს განვითარება, მათ შორის: 05 01 01 - სპორტული ღონისძიებები; 05 01 02 - სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა;05 01 03 - სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა;

05 02 - კულტურის სფეროს განვითარება, მათ შორის: 05 02 01 01 - სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა; 05 02 01 02 - კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა; 05 02 03 - კულტურის ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა, რეაბილიტაცია;

06 03 სოციალური დაცვა, მათ შორის 06 03 03 - შშმ პირთა დახმარების პროგრამა; 06 03 17 - სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება; 06 03 19 - სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროგრამის ხელშეწყობა; 06 03 22 - არასრულწლოვანთა დახმარება.

აზრი გამოთქვეს: ნინო მაღლაკელიძემ და თეა ბერიძემ.

მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ ბავშვების, შშმ პირების, მოხუცების, ქალებისა და კაცების ინტერესების გათვალისწინება პროგრამული ბიუჯეტირების შემადგენელი ნაწილია და თანასწორობისკენ მიმართული პოლიტიკისა და საბიუჯეტო სახსრების განაწილების შესაბამისობის საუკეთესო მექანიზმია. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს თანასწორობისკენ

ორიენტირებული საბიუჯეტო პროცესის ფორმირებას. თანასწორობის მისაღწევად ადგილობრივ თვითმმართველობას უდიდესი როლი აკისრიათ, რადგან სწორედ მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების, შშმ პირების, მოხუცების, ქალებისა და კაცების კეთილდღეობა. ადგილობრივი თვითმმართველობა კარგ მმართველობას ვერ განახორციელებს, თუ სათანადო ყურადღებას არ დაუთმობს თანასწორობას, მათ შორის ქალების უფლებების გაძლიერებას.

სამუშაო ჯგუფის წევრები დაეთანხმნენ გამოთქმულ აზრს და მხარი დაუჭირეს ზემოთ აღნიშნული ორი საკითხის არსებული სახით გადაწყვეტას.

თანათავმჯდომარე - ვარლამ ჭიპაშვილი -

სამუშაო ჯგუფი:

დავით დევდარიანი -

კახაბერ გოლუბიანი -

ნინო მაღლაკელიძე

ეკა დვალიშვილი

ვასილ შარიქაძე -

პეტრე შარიქაძე -

ნანა კიკნაძე -

ხათუნა ტაბატაძე

ინგა ბერაძე -

თეა ბერიძე -

ლალი სებისკვერაძე - -